საიდ. №70162/03

IR 1139121

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №54-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ბ., თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ”-ის (GULFSTREAM AEROSPACE CORPORATION) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №54-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №46/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GULFSTREAM” (საიდ. №70162/03 IR 1139121) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-12 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 იანვრის №46/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „GULFSTREAM“ (ლათინური ანბანით შესრულებული) ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია “გალფ ოილ მარკეტინგ გმბჰ (ავსტრია კორპორეიშენ)“-ის (Gulf Oil Marketing GmbH (Austria Corporation)) სახელზე რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „GULF“, (რეგ. №1129861, რეგ. თარიღი: 12/07/2012). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნების მთავარი სიტყვიერი ნაწილი „GULF” იდენტურია, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-12 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავებადობა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის როგორც, „გალფ-სტრიმ”, ხოლო დაპირისპირებული კი როგორც „გალფ”. ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები სრულიად განსხვავებულად წარმოითქმის. აპელანტის პოზიციით, გასავრცელებლად წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს განსაკუთრებულ განმასხვავებლობას სძენს დაბოლოვება “სტრიმ”, რომელიც მკაფიოდ წარმოითქმის და ანიჭებს ნიშანს იმ დონის განსხვავებადობას, რომ მისი აღრევა განცხადებულ სასაქონლო ნიშანთან არ მოხდება. განსხვავებულია ნიშნებში მარცვლების რაოდენობა, რაც ფონეტიკური თვალსაზრისით ნიშნებს კიდევ უფრო განსხვავებულს ხდის. განსხვავებულია ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისითაც. წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტანდარტული

ლათინური ასომთავრული შრიფტით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი კომბინირებული სასაქონლო ნიშანია. რომელიც წარმოადგენს ნარინჯისფერ წრეში, თეთრ ფონზე ლურჯი სტილიზებული ლათინური ასოებით ჩაწერილ სიტყვას. აქედან გამომდინარე, ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულია და შეუძლებელია მომხმარებელთა მხრიდან მათი აღრევა. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურადაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი "გალფსტრიმ" ქართულ ენაში და ასევე მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე გამოიყენება ატლანტის ოკეანის თბილი დინების აღსანიშნავად. რაც შეეხება დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ის ქართულად ყურეს ნიშნავს. ნიშნების სემანტიკური განსხვავება გამორიცხავს სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას მათ შორის ასოცირების შედეგადაც. აპელანტის კუთვნილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი გასავრცელებლად წარმოდგენილია მე-12 კლასის შემდეგი საქონლისათვის: "თვითმფრინავები". დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი გავრცელებულია საქართველოში მე-12 კლასის შემდეგი საქონლისათვის: "სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები; აპარატები ხმელეთზე, ჰაერში და წყალზე გადასაადგილებლად". გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი კონკრეტულ საქონელს მოიცავს თვითმფრინავებს, მაშინ როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს ზოგადად საჰაერო გადაადგილებისათვის განკუთვნილ აპარატებს. დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განსხვავებულია და ისინი არ უნდა იქნეს მიჩნეული ერთგვაროვნად. აპელანტის განმარტებით, ასევე გამორიცხულია სასაქონლო ნიშნების აღრევა ასოცირების შედეგად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული პროდუქცია არ არის სწრაფად შესაძენი ნაწარმი, ძალზედ ძვირად ღირებულია და მას სპეციფიკური მყიდველი ჰყავს, რომელმაც ზუსტად იცის თუ რომელი კომპანიის მიერ წარმოებული თვითმფრინავის თუ საფრენი აპარატის შეძენა სურს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №46/03 ბრძანების

ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GULFSTREAM" (საიდ. №70162/03 IR 1139121) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GULFSTREAM" (საიდ. №70162/03 IR 1139121) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „GULF" (IR1129861) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს გამოსახულებას, მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ ნიშანს, რადგან იგი იწყება იდენტურად „GULF", შესაბამისად, განცხადებულ ნიშანში განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა მოდის მის საწყის ნაწილზე „GULF", რადგან აღქმის თვალსაზრისით მომხმარებელი კარგად აღიქვამს და იმახსოვრებს სწორედ ნიშნის საწყის ნაწილს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან

განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „გალფსტრიმ”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, კი როგორც „გალფი”. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი სემანტიკურად უკავშირდება „ზღვის ყურეს”. მსგავსია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-12 საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება „თვითმფრინავების” მიმართ, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი რეგისტრირებულია მე-12 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვლის მიმართ, რომელიც ასევე უკავშირდება საფრენ აპარატებს. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლისა და მისი მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GULFSTREAM” (საიდ. №70162/03 IR 1139121) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „გალფსტრიმ აეროსფეის კორპორეიშენ”-ის (GULFSTREAM AEROSPACE CORPORATION) სააპელაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 იანვრის №46/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ე.
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	მ. ბ.